



განაკვეთილი
პროფესიული
განვითარების
ერთეული მნიშვნელო

ავტორი:

მანანა მელიქიშვილი

რედაქტორები:

ნათია ნაცვლიშვილი

ნინო ლაბაროყავა

© 2013, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

WWW.TPDC.GE

ჰონ დიუის
პედაგოგიკური კონცეფცია

ძირითადი საპითხები

I. ჯ. დიუის ძირითადი პედაგოგიკური იდეები

II. როგორი უნდა იყოს სკოლა ჯ. დიუის მიხედვით

III. ჯ. დიუის პედაგოგიკური ექსპერიმენტი

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში აღმოცენდა ე.წ. პრაგმატიზმის ფილოსოფია – ჭეშმარიტია ის, რაც სასარგებლოა. სასარგებლო კი განისაზღვრება შინაგანი კმაყოფილების გრძნობით. პრაგმატიზმის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი იყო ფილოსოფოსი ჯონ დიუი. იგი წარმოადგენდა პრაგმატიზმის ერთ-ერთ მიმდინარეობას, რომელსაც უწოდებენ **ინსტრუმენტალიზმს – ნებისმიერი თეორია ან იდეა, თუკი იგი სასარგებლოა ინდივიდისთვის, უნდა განვიხილოთ როგორც ინსტრუმენტი, იდეალის მიღწევისთვის (კარგი ცხოვრებისთვის).** ჯ. დიუის პედაგოგიკური კონცეფციის ძირითადი ლოზუნგია – „სკოლა, ცხოვრების ინსტრუმენტია“.

3. დიუის ძირითადი პედაგოგიკური იდეები

ბავშვების მიერ პირადი გამოცდილების დაგროვება უფრო ღირებულია, ვიდრე ფაქტობრივი (მეცნიერული) ცოდნის დაუფლება.

ჰ. დიუის პედაგოგიკურ სისტემაში სწავლა გულისხმობს პირადი იდეებისა და ცნებების ფორმირებას. სწავლის პროცესი მიმდინარეობს მაშინ, როცა რაღაც ხდება მოსწავლის „შიგნით“. ეს კი, უმეტეს შემთხვევაში, მასწავლებლის კონტროლს არ ექვემდებარება.

ჰ. დიუის მიხედვით, ცნება „გამოცდილება“ არის მოვლენების რთული კომბინაცია. ზოგი მოვლენა აღმოცენდება გარეგანი რეგულაციის გავლენით, ზოგი – კი შემთხვევით. ზოგი მოვლენა სასარგებლოა ადამიანისათვის, ზოგი კი – არა. ადამიანის ამოცანაა, ისწავლოს მოვლენების მართვა. ამისათვის კი საჭიროა ექსპერიმენტის ჩატარება, რომლის დახმარებითაც ვიპოვით მოვლენის გამომწვევ მიზეზს.

ჰ. დიუის მიხედვით, გამოცდილება დაკავშირებულია მოქმედების განხორციელებასთან, და არა ობიექტის შემეცნებასთან. აზროვნება (განსაკუთრებით, მეცნიერული) არის მხოლოდ ინსტრუმენტი, გრძობადი და ინტელექტუალური პრობლემების გადასატრედად. მისი აღმოცენება იწვევს აზროვნებითი აქტივობის ჯაჭურ რეაქციას, რომელიც მიმართულია სირთულეების ეფექტური დაძლევისკენ.

ჰ. დიუი თვლიდა, რომ სწავლა უნდა მიმდინარეობდეს გამოცდილების მეშვეობით გარემოს შემეცნების გზით. მხოლოდ გარემოს გამოკვლევის საფუძველზე უნდება ბავშვს სურვილი შემდგომი თვითგანვითარებისა და სწორედ გამოცდილებით შემეცნების შედეგად უყალიბდება ხასიათის გარკვეული თვისებები, რომელიც აძლევს მას საშუალებას, აკონტროლოს გარემო და მოარგოს ის თავის მიზნებს.

ჰ. დიუის აზრით, საგანმანათლებლო სისტემები ბავშვს დიდი რაოდენობით ფაქტობრივ ინფორმაციას აწვდის და არ ასწავლის მისი გამოყენების საშუალებებს.

განათლების ტრადიციული მოდელის საპირისპიროდ, ჰ. დიუიმ შემოგვთავაზა ახალი სისტემა, რომლის მიზანია სწავლა პრობლემების გადაწყვეტის მეთოდით. ადამიანი მოქმედებს იდეების საფუძველზე და, მიღებული შედეგების მიხედვით, ცვლის თავის მოქმედებას. იმის შესაბამისად, თუ როგორ შეიცვლება გარემო პირობები, ადამიანი ცვლის თავის

პირველ ჰიპოთეზას (ვარაუდს). ჯ. დიუი იყენებს ცნებას – „აზრის დასრულების აქტი“, რომელიც შეიცავს შემდეგ ელემენტებს: არსებული სიტუაციის სირთულეების განსაზღვრა, მათი ანალიზი, შესაძლო გადაწყვეტილების მიღება და მიღებული გადაწყვეტილების შედეგების შემოწმება.

ჯ. დიუი თვლიდა, რომ ადამიანი, რომელსაც აქვს პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების ჩვევა, უკეთ იქნება მომზადებული მომავალი რთული და პრობლემებით სავსე ცხოვრებისთვის.

ჭეშმარიტია და ღირებული მხოლოდ ის, რაც იძლევა პრაქტიკულ შედეგს

აღზრდისა და სწავლების დროს ბავშვს უნდა მივაწოდოთ არა თეორიული ცოდნა, არამედ კონკრეტული, პრაქტიკული საქმეები, სადაც ბავშვები არა მარტო შეიმეცნებენ სამყაროს, არამედ სწავლობენ ერთად მუშაობას და სირთულეების დაძლევას.

ჯ. დიუის სისტემით მომუშავე სკოლებში არ იყო შესასწავლი საგნების მუდმივი სასწავლო პროგრამები, გადასაცემად შეირჩეოდა თეორიული ცოდნისა და ინფორმაციის ის ნაწილი, რომელსაც ჰქონდა პრაქტიკული გამოყენება და მოსწავლეს მომავალში გამოადგებოდა.

აკეთებდა რა ორიენტაციას კონკრეტულ, პრაქტიკულ მიზნებზე, ეს მიდგომა აისახა ჯ. დიუის მიერ შემოთავაზებულ სწავლების მეთოდებზეც. ამრიგად, ჯ. დიუიმ შემოგვთავაზა, აბსტრაქტული, თეორიული ცოდნის მიწოდების სანაცვლოდ, სასკოლო სწავლების ისეთი სისტემა, სადაც მოსწავლე „კეთებით“ გაიმდიდრებს საკუთარ გამოცდილებას და დაეუფლება გარემოს დამოუკიდებლად შემეცნების საშუალებებსა და მეთოდებს.

ადამიანის ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებასთან, რომელიც არის განვითარების საშუალებაც და მასალაც. ამიტომ ბავშვის აღზრდისთვის მნიშვნელოვანია ცხოვრების მატერიალური მხარის შესახებ ცოდნის მიწოდება, რომელიც მას გამოადგება არა მხოლოდ სკოლაში, არამედ ცხოვრებაშიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საგნებად ჯ. დიუი მიიჩნევდა ისტორიას და გეოგრაფიას, რომელიც დაკავშირებულია ერთდროულად როგორც ბუნებასთან, ასევე – საზოგადოების სოციალურ ცხოვრებასთან.

სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს საფუძვლად უნდა ედოს ბავშვის ინტერესები

ჰ. დიუის აზრით, მოსწავლემ თვითონ უნდა განსაზღვროს სასწავლო მასალის რაოდენობა და ხარისხი. მას უნდოდა, რომ მოსწავლის თეორიულ ცოდნას მიეღო კონკრეტული ფორმა, რომელსაც ექნებოდა კავშირი პრაქტიკულ ცხოვრებასთან.

სწავლის პროცესი მიმდინარეობს მაშინ, როცა რაღაც ხდება მოსწავლის „შიგნით“. შემეცნებას, რომელიც მიმდინარეობს „მე“-ში, საქმე აქვს არა აზროვნებასთან (აზროვნება არის მხოლოდ ინსტრუმენტი), არამედ – გრძნობებთან, რწმენასთან, გაგებასთან, ძიებასთან, მიდრეკილებასთან.

ჰ. დიუის აზრით, სწავლა უფრო ეფექტური იქნება, თუ ის დაეფუძნება მოსწავლეთა შეკითხვებს, ინტერესებსა და საჭიროებებს.

ორიენტაცია საზოგადოებაში სამომავლო აქტივობაზე

ჰ. დიუის თანახმად, პრაქტიკული საქმიანობის დროს, ბავშვები ეცნობიან მრავალ პროფესიას, რაც აძლევს მათ არა მარტო გარკვეულ ჩვევებს, არამედ ხელს უწყობს მათ განვითარებას, ასწავლის ყველა შრომის პატივისცემას, რომელიც მიმართულია საზოგადოების კეთილდღეობისთვის.

პროექტებით სწავლების მეთოდი

პროექტებით სწავლების მეთოდი არის განათლების მიღების ერთგვარი სისტემა, რომლის დროსაც მოსწავლეები იძენენ ცოდნას, პრაქტიკული დავალებების (პროექტების) დაგეგმვისა და შესრულების პროცესში.

პროექტებით სწავლების მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეთა ინიციატივის, სამუშაოს დაგეგმვის ჩვევის, გარემოებებისა და სირთულეების გათვალისწინების განვითარებას. ასწავლის მიზანდასახულობასა და დამოუკიდებლობას.

ჰ. დიუის აზრით, მოსწავლეებს არ შეუძლიათ, დამოუკიდებლად დაგვემონ პროექტები. მათ ამისთვის ესაჭიროებათ მასწავლებელი. პროექტი არის მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივი ინიციატივა. მასწავლებელი არის გიდი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებს მასალით და აძლევს ზოგად მითითებებს.

სასწავლო დისციპლინები

ჰ. დიუის აზრით, სკოლაში უნდა ვასწავლოთ „ინსტრუმენტული“ დისციპლინები, ნაცვლად თეორიული (ფაქტობრივი) დისციპლინებისა (ან მათი რიცხვი უნდა შემცირდეს). „ინსტრუმენტული“ დისციპლინები ეხმარება მოსწავლეებს პრობლემების გადაწყვეტაში მაშინ, როცა თეორიული (ფაქტობრივი) დისციპლინები ავითარებს „ფართო აზროვნებას“, რომელსაც არ აქვს პრაქტიკული გამოყენება.

ჰ. დიუი თვლიდა, რომ უფრო მნიშვნელოვანია სოციალური მეცნიერებების შესწავლა, ვიდრე მეცნიერებათა იმ დარგებისა, რომლებიც შეისწავლის არასულიერ ფენომენებს. მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ არა ზოგადად სოციალური მეცნიერებები, არამედ ვიწრო, აქტუალური პრობლემები, რომლებსაც ისინი ეხებიან. სოციალური საკითხების შესწავლა უნდა მიმდინარეობდეს ხანმოკლე კურსების ფორმით (რა თქმა უნდა, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები და მათ მიერ სოციალური პრობლემების გაგების უნარი). რაც შეეხება აკადემიურ კვლევებს, მათგან საინტერესოა მხოლოდ ის, რომელიც ავსებს ცოდნას მიმდინარე, ყოველდღიურ პრობლემებთან დაკავშირებით. მაგალითად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებისთვის ეს შეიძლება იყოს შემდეგი კურსები: ადამიანის უფლებები, თანამედროვე ოჯახის პრობლემები, შრომის ბაზარი, ტერორიზმთან ბრძოლა, დემოკრატიის განვითარება, საარჩევნო ტექნოლოგიების შექმნა და ა.შ. კოლეჯის სტუდენტებისთვის – ეკოლოგიური პროგრამები, ეთნიკური და რელიგიური პრობლემების რეგულირების პროგრამები. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის – საერთაშორისო ურთიერთობები, სოციოლოგია, პოლიტიკა.

ისეთ ტრადიციულ დისციპლინებს, როგორებიცაა, მაგალითად, ისტორია და ფიზიკა, ჰ. დიუის პრაგმატულ კონცეფციაშიც მოეძებნება ად-

გილი, მაგრამ მხოლოდ იმ კუთხით, თუ რამდენად არიან ისინი სასარგებლო თანამედროვე სოციუმის მართვის გაგებისთვის.

უწყვეტი განათლება

ჰ. დიუის აზრით, მთელი საზოგადოება უნდა იმყოფებოდეს მუდმივი სწავლის პროცესში იმიტომ, რომ ცხოვრება ვითარდება და ადამიანი უნდა რეაგირებდეს ცვლილებებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანი დაითრგუნება იმ ცვლილებებით, რომელსაც შეხვდება და ვერ გაიგებს მათ მნიშვნელობას. ამ ხედვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო სივრცეში, ვინაიდან სწორედ ადამიანის წარმატების განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს.

თამაში

ჰ. დიუი მიიჩნევდა, რომ სასწავლო პროცესში აუცილებელია თამაშის ჩართვა. თამაში მიუთითებს ბავშვის გონებრივ აქტივობაზე. თამაშის არის ბავშვის ყველა ძალის, აზრისა და ფიზიკური აქტივობის გავარჯიშება.

სასწავლო პროცესში თამაშის მრავალნაირი სახეობა უნდა იყოს გამოყენებული – სპონტანური თამაშები, რომელიც იმეორებს უფროსების ცხოვრებას; ორგანიზებული თამაშები (წესების გამოყენებით); სათამაშოების დამზადება; კონსტრუქტორები და ა.შ. როგორც უმცროსკლასელებისთვის, ასევე უფროსკლასელებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი სათამაშო აქტივობა, როგორიცაა – თეატრალური წარმოდგენები, როლური თამაშები. თამაში იწვევს სწავლის პროცესში ბავშვის აფექტური (ემოციური) სფეროს ჩართვას, რაც ხელს უწყობს თვითგამოხატვას და უზრუნველყოფს სამყაროს შემეცნებას. პირველად სწორედ თამაშის დროს უჩნდება ბავშვს სამყაროსთან და თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება. თამაში არის ძალზე ეფექტური საშუალება ბავშვის ინტელექტუალური, მორალური და ნებელობითი თვისებების ფორმირებისთვის.

პედაგოგის საქმიანობა

პედაგოგის მთავარი ამოცანაა მოსწავლეებისათვის იმ ფაქტების მიწოდება, რომელიც დაკვირვების, პრობლემის წამოჭრისა და გამოცდილების გაფართოების საშუალებას იძლევა. მასწავლებელი უნდა გრძნობდეს, რომელი განწყობები და ტენდენციები გამოიწვევს განვითარებას და რომელი – არა. მასწავლებლის ვალდებულებაა, ხელიდან არ გაუშვას ამგვარი, განვითარების პერსპექტივის მქონე „შემთხვევა“.

მასწავლებლის მთავარი მეთოდი საკუთარი საგნის კარგად ცოდნაა. ეს აძლევს მას საშუალებას, ისე დაგვემოს სასწავლო პროცესი, რომ ის მაქსიმალურად ეფექტიანად წარიმართოს. მასწავლებელზე დამოკიდებული, მაგალითად, თუ რა თანმიმდევრობით გააცნობს მოსწავლეებს ფაქტებსა და მოვლენებს მეცნიერებიდან. შეიძლება ითქვას, რომ იგი თავად ქმნის თავის საგანს, ითვალისწინებს რა მოსწავლეების მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს.

სწავლება უნდა მიმდინარეობდეს შრომითი და თამაშის აქტივობის გამოყენებით. ბავშვმა ცოდნა უნდა შეიძინოს „კეთების“ საშუალებით; პრობლემური სიტუაციის კვლევით; სხვადასხვა მაკეტისა თუ სქემის დამზადებით; კითხვებზე პასუხის გაცემით.

სწავლების პროცესი უნდა წარიმართოს კერძოდან ზოგადისკენ, მეცნიერების ინდუქციური მეთოდის გამოყენებით.

როგორი უნდა იყოს სკოლა ჯ. დიუის მიხედვით

ჯ. დიუის მიხედვით, სკოლა უნდა იყოს სახელოსნო, ლაბორატორია, სადაც უმეტესი დრო და ადგილი უნდა დაეთმოს „კეთებას“, და არა „მოსმენას“. სწავლა უნდა მიმდინარეობდეს გამოცდილების მიღებით, რომელსაც შევიძინებთ მხოლოდ გარემოს კვლევის შედეგად. იმისათვის, რომ სწავლა იყოს ეფექტური, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ინტერესები და მამოძრავებელი იმპულსები. კერძოდ:

- საუბრის და ურთიერთობის მოთხოვნილება.
- კვლევის და დასკვნის გაკეთების მოთხოვნილება.
- საგნების „შექმნის“ და მშენებლობის იმპულსი.
- მხატვრულ შემოქმედებაში თავის გამოვლენის იმპულსი.

ესენი ბავშვის ბუნებრივი იმპულსებია, მისი რესურსებია, რომელთა გავარჯიშებაზეც არის დამოკიდებული ბავშვის განვითარება. შესაბამისად, სწავლების ძირითადი მეთოდები უნდა იყოს – შრომა, თამაში, იმპროვიზაცია, ექსკურსიები, მხატვრული შემოქმედება, საოჯახო საქმიანობა.

სწავლება უნდა ეყრდნობოდეს თითოეული მოსწავლის საჭიროებებს, რათა სრულად წარმოჩინდეს მათი უნარები.

ყოველ მოსწავლეს უნდა ჩამოვუყალიბოთ როგორც ლიდერის, ასევე დაქვემდებარებულის ქცევის მოდელები, ვინაიდან მომავალში მან უნდა შეასრულოს სხვადასხვა როლი. მას უნდა შეეძლოს ლიდერისთვის დამახასიათებელი ინიციატივისა და პასუხისმგებლობის გამოვლენა. ამავე დროს უნდა დაემორჩილოს კანონებს, დაიკავოს გარკვეული ადგილი სოციალურ და საწარმოო ურთიერთობებში. ყოველივე ამაში კი ბავშვს უნდა დაეხმაროს მასწავლებელი, მან უნდა წარმართოს ბავშვის აქტივობა გარკვეული მიმართულებით.

სკოლა უნდა მიესაღმოს ბავშვის თავისუფალი ნების გამოვლინებას და, ამავე დროს, ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარ ქცევაზე.

სკოლაში არ უნდა მიმდინარეობდეს კონკრეტული საგნების სწავლება, ვინაიდან ასეთი სწავლებისას სასწავლო მასალა წარმოდგენილია მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობით, ხოლო ადამიანი არასდროს არ შეიმეცნებს ფაქტებს, ასეთი სუფთა ლოგიკური სტრუქტურით.

მასწავლებელმა უნდა შექმნას პირობები, სადაც გამოვლინდება მოსწავლის შინაგანი შესაძლებლობები და, ამავე დროს, უნდა აღკვეთოს სიტუაციები, რომელიც ხელს უშლის ბავშვის განვითარებას. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს თავისი ინდივიდუალური მიზნების დასახვაში.

წარმატებული სწავლის პირობებია:

- სასწავლო მასალის წარდგენა პრობლემების სახით.
- ბავშვის აქტივობა.
- სწავლის დაკავშირება თამაშსა და შრომასთან.

პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტა მოიცავს 5 ეტაპს:

1. სირთულის (შეიძლება შფოთვის) განცდა. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია პრობლემის აღმოცენების წყაროს გარკვევა. სხვა სიტყვებით რომ

ვთქვათ, პრობლემის გაცნობიერება. კითხვაზე – „რას წარმოადგენს პრობლემა?“ პასუხის გაცემა.

ჟ. დიუის მოჰყავს ასეთი მაგალითი: პიროვნებას ესმის ხმა ბნელ ოთახში. თავიდან ხმა შიშისმომგვრელად მიიჩნევა, გამოკვლევის შემდეგ (მაგალითად, სინათლის ანთება და გარემოს დათვალიერება) დგინდება, რომ ხმა, როგორც ჩანს, გამოწვეული იყო ფანჯრის დარაბის ბრახუნით, რაც არ ქმნიდა შიშის საფუძველს. ხმა თავიდან იყო შიშის მომგვრელი, მაგრამ ეს შიში, ამ შემთხვევაში, არის არასაკმარისი ცოდნის შედეგი.

2. როცა პრობლემა გარკვეულია, გაურკვეველი სიტუაცია გარდაიქმნება პრობლემურ სიტუაციად. ხანდახან პირველი და მეორე ეტაპი გაერთიანებულია. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა თავიდანვე ცნობილია, რა არის პრობლემა. რა თქმა უნდა, პრობლემური სიტუაციის გაგება გულისხმობს პრობლემის სირთულეებისა და მიზნის გაცნობიერებას.
3. მესამე ეტაპი ჰიპოთეზების (ვარაუდის) წამოყენებას ეთმობა. ეს ეტაპი საჭიროებს ლოგიკურ აზროვნებას, გარკვეულ იდეებს, ან აქტივობებს, რომელიც მიმართულია პრობლემის გადასაწყვეტად.
4. მეოთხე ეტაპზე მიმდინარეობს ჰიპოთეზების კრიტიკული განხილვა და შეფასება.
5. ბოლო ეტაპი კი ჰიპოთეზების ექსპერიმენტული შეფასების ეტაპია (სწორია თუ არა ჩვენი ვარაუდი).

პრობლემური სიტუაციის შექმნის მეთოდური ხერხები:

- მასწავლებელი აწვდის ბავშვებს საპირისპირო მოსაზრებებს ერთსა და იმავე საკითხზე.
- ქმნის პრობლემურ სიტუაციას და სთხოვს ბავშვებს მის გადაწყვეტას.
- სთხოვს ბავშვებს, სხვადასხვა პოზიციიდან განიხილონ ესა თუ ის მოვლენა.
- უბიძგებს მოსწავლეებს შედარებისკენ, განზოგადებისკენ, დასკვნის გაკეთებისკენ.
- მასწავლებელი სვამს კონკრეტულ კითხვებს.

3. დიუის პედაგოგიკური ექსპერიმენტი

თავისი პედაგოგიკური კონცეფციის რეალიზაცია ჯ. დიუიმ ჩიკაგოს უნივერსიტეტთან არსებულ სკოლა-ლაბორატორიაში შეძლო. სკოლის მიზანს წარმოადგენდა ბავშვების აღზრდისა და სწავლებისთვის ადეკვატური გარემოს შექმნა, კრიტიკული აზროვნების განვითარება და გამოცდილების შექმნა.

ჯ. დიუის სკოლა-ლაბორატორიაში იყენებდნენ სწავლების შემდეგ მეთოდებს:

- კვლევა.
- ახალი მასალის შესწავლა რეალური სიტუაციების საფუძველზე.
- დისკუსიები, ჰიპოთეზების წამოყენება, დამატებითი ინფორმაციის მოძიება, შესაძლო გადაწყვეტილების განხილვა, გადაწყვეტილების მიღება.
- პრობლემის გადაწყვეტისას, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში არსებული ინფორმაციის გამოყენება და ინტეგრაცია.
- შრომა.
- თამაში.

სასწავლო პროცესის ორგანიზების ფორმები კი იყო:

- **ჯგუფური მუშაობა.** ჯ. დიუის აზრით, სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც მოსწავლეები აქტიურად იქნებიან ჩართულნი ერთობლივი მიზნებისა (როგორც საკუთარი, ასევე სხვების) და ინტერესების თანამშრომლობის გზით განხორციელებაში. ჯ. დიუის სწამდა, რომ პედაგოგიკური აქტივობა, რომელიც ამგვარად არის ორგანიზებული, შეგნებულ, პასუხისმგებლიანი, დემოკრატი მოქალაქეების საუკეთესო მომზადების საწინდარს წარმოადგენს.
- **შრომითი აქტივობის ანალოგიური „საქმიანობა“.** ბავშვები სწავლობდნენ დურგლობას, ქსოვას, სანთლის ამოვლებას, მზარეულობას. სკოლა-ლაბორატორიაში ბავშვები ზრდიდნენ ხორბალს, აცხობდნენ პურს, რგავდნენ ხეებს, აშენებდნენ. ცოტა უფროსები კი მეტალის გადადნობას და ღუმლის გაკეთებასაც სწავლობდნენ.

ჯ. დიუის სკოლა-ლაბორატორიაში ბავშვები იკვლევდნენ გარემოს, რის საფუძველზეც იძენდნენ არა მარტო ცოდნას, არამედ ეუფლებოდ-

ნენ ცოდნის მოპოვებისა და გამოყენების მეთოდებს. ეცნობოდნენ რა წარმოებას, ბავშვები სწავლობდნენ მექანიკასა და ფიზიკას, ერვეოდნენ მათემატიკურ გამოთვლებს. მაგალითად, მოსწავლეები მათემატიკას დურგლობასთან ერთად სწავლობდნენ, ქიმიას – კულინარიით, ისტორიას კი სხვადასხვა ისტორიული ადგილების მონახულებით.

უფროსი ასაკის ბავშვები ეხმარებოდნენ უმცროსებს. ბავშვების წარმატებები მთელ სკოლას ეცნობებოდა.

ჰ. დიუი თვლიდა, რომ ხელოვნებას აქვს განსაკუთრებული ღირებულება, რომელიც ადამიანის არსებობას ამრს აძლევს. ადამიანებს აქვთ ბუნებრივი მიდრეკილება იმღერონ, იცეკვონ, დახატონ და ა.შ. ამიტომ სკოლა-ლაბორატორიის ბავშვები მღეროდნენ, ხატავდნენ, დგამდნენ სპექტაკლებს, აგებდნენ წარსული ცივილიზაციის ამსახველ მაკეტებს.

ჰ. დიუი მიიჩნევდა, რომ სკოლა-ლაბორატორიაში სწავლის შედეგად, მოსწავლეს განუვითარებოდა პიროვნების შემდეგი მახასიათებლები:

- აქტიურობა, ინიციატივის გამოჩენა, დამოუკიდებლობა.
- პასუხისმგებლობა.
- საკუთარი შემეცნებითი აქტივობის დაგეგმვის უნარი.
- მიზანდასახულობა.
- საკუთარი შეცდომების გასწორების მზაობა.
- მეტაშემეცნება (შემეცნებითი პროცესების გაცნობიერება).
- კომპრომისული გადაწყვეტილებების პოვნის უნარი.

პედაგოგიკური ექსპერიმენტის საფუძველზე, ჰ.დიუიმ გამოყო ბავშვის განვითარების 3 პერიოდი:

4-8 წელი. ამ ასაკის ბავშვს ახასიათებს მოტორული აქტივობა. ამიტომ საჭიროა პირდაპირი კავშირი იდეასა და მოქმედებას შორის. სწავლებას არ უნდა ჰქონდეს გაკვეთილის ფორმა, არამედ უნდა მიმდინარეობდეს სხვადასხვა აქტივობის სახით.

8-12 წელი. ბავშვი ცდილობს, მოუძებნოს ახსნა სხვადასხვა ფაქტსა და იდეას. ბავშვი ხდება მკვლევარი და ნაკლებადაა მიმართული საბოლოო პროდუქტის მიღებაზე. ინტერესდება წიგნებით, რათა მიიღოს საინტერესო ინფორმაცია.

13 წელი და ზემოთ. ბავშვს შეუძლია, გამოიყენოს თავისი ინტელექტუალური და ტექნიკური შესაძლებლობები მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

ჰ. დიუი თვლიდა, რომ სწავლების ტრადიციული სისტემა ანგარიშს არ უწევს ბავშვის მოთხოვნილებებსა და განვითარების თავისებურებებს. ამის საფუძველზე შედგენილმა სასწავლო პროგრამებმა და სახელმძღვანელოებმა კი შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის ურყოფითი დამოკიდებულება სწავლისადმი. ბავშვის ბუნებრივი მიდრეკილება შემეცნებისადმი განიცდის დეფორმაციას, შეფასებების სისტემისა და გამოცდების გამო. სახელმძღვანელოებში მოცემულია ბევრი აბსტრაქტული ფაქტი, რომელიც ბავშვმა უნდა ისწავლოს და რომელიც ხშირად მისთვის გაუგებარია. ასეთი სკოლა ვერ მოამზადებს ახალგაზრდა თაობას საზოგადოებაში ცხოვრებისთვის, სადაც საჭიროა აქტიურობა, საკუთარი ძალების რწმენა, დამოუკიდებლობა, პირადი და საზოგადოების პრობლემების გადაჭრის უნარი. ქვემოთ მოცემულია ტრადიციული სწავლებისა და ჰ. დიუის პედაგოგიკური თეორიის შედარებითი ანალიზი (ცხრილი 1).

ცხრილი 1.

	განათლების ტრადიციული სისტემა	ჰ. დიუის პედაგოგიკური კონცეფცია
სწავლების მიზანი	ცოდნის სისტემის ფორმირება, მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება.	კრიტიკული აზროვნების განვითარება. ბავშვის პირადი გამოცდილების გამდიდრება.
ძირითადი აქცენტი	ბავშვის ინფორმირებულობა	ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება.
სწავლების პრინციპები	ცოდნის სიმყარე. მეცნიერული ცოდნის სისტემატიზაცია.	ორიენტაცია ყოველი მოსწავლის საჭიროებებზე. ზოგადი და გონებრივი უნარებისა და ჩვევების განვითარება.

ცოდნის მიღების მეთოდები	მოსწავლეები ლებულო-ბენ ინფორმაციას გამზადებული სახით, მტკიცებულებების გარეშე.	კვლევა. აქტივობები გარემოს შესამცენებლად. ინტერაქცია.
სასწავლო პროგრამა	ყველა კლასისთვის არსებობს ერთიანი წლიური სასწავლო გეგმა.	არ არსებობს მუდმივი სასწავლო გეგმა. გაკვეთილებზე ითვალისწინებენ ბავშვების ინტერესებს და დამოკიდებულია, მათ მიერ ათვისებულ მასალაზე.
სასწავლო საგნები	ყოველი გაკვეთილი ეძღვნება ერთ სასწავლო დისციპლინას, თემას. ბავშვები მუშაობენ ერთსა და იმავე თემაზე.	არ არსებობს საგნობრივი გაკვეთილები.
მასწავლებლის საქმიანობა	მასწავლებელი ხელმძღვანელობს ბავშვების აქტივობას.	მასწავლებელი ქმნის პირობას ბავშვის განვითარებისთვის.
სწავლების შედეგები	სისტემატიზებული ცოდნის მიღება.	აქტივობა, ინიციატივა, დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა, საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა, აზროვნების მობილობა, მიზანდასახულობა, შეცდომების გამოსწორების მზაობა, მეტაშემეცნება, კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

თავისი მოსაზრებებით, ჯ. დიუი დაუპირისპირდა ბიჭვეიორიზმს, რომელიც მიიჩნევდა, რომ ინფორმაცია ბავშვს გარედან მიეწოდება. ხოლო სწავლის პროცესში ცენტრალური ფიგურაა მასწავლებელი, რომელიც გარკვეული ინსტრუქციებითა და მითითებებით ასწავლის მოსწავლეს.

ჯ. დიუის პედაგოგიკური კონცეფცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც კონსტრუქტივიზმის ადრეული ვერსია, სადაც სწავლა შესაძლებელია მხოლოდ ბავშვის გარემოსთან აქტიური ურთიერთობის შედეგად. აქტივობა გულისხმობს კვლევის, ექსპერიმენტის ჩატარებას – საგნის გამოყენებას, გამოცდას, თამაშს, იმის გარკვევას, თუ როგორ და რატომ მუშაობს ესა თუ ის საგანი.

ჯ. დიუის შეხედულება განვითარებაზე, ასევე, ახლოსაა ლ. ვიგოტსკის შეხედულებასთან. ჯ. დიუი, ისევე როგორც ლ. ვიგოტსკი, თვლიდა, რომ ცოდნას ბავშვი იძენს სოციალური ინტერაქციის გზით.

ჯ. დიუის სკოლა-ლაბორატორია აღიარებს პროგრესულ სასწავლო დაწესებულებად, რომელმაც ბიძგი მისცა მთელი რიგი მსგავსი სასწავლო დაწესებულებების განვითარებას. მეცნიერებმა თავი დაანებეს კაბინეტებში ჯდომას და გადაინაცვლეს ექსპერიმენტულ პედაგოგიკურ ლაბორატორიებში. ჯ. დიუის პედაგოგიკურმა კონცეფციამ რადიკალურად შეცვალა სწავლების მეთოდებისადმი მიდგომა, გააქტიურა სწავლების პროცესი, ბიძგი მისცა სკოლის დემოკრატიზაციას.

ჯ. დიუის თეორიის ძირითადი იდეები:

- სწავლა გამოცდილებით.
- ღირებულია მხოლოდ ის, რაც იძლევა პრაქტიკულ შედეგს.
- სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს საფუძვლად უნდა ედოს ბავშვის ინტერესები.
- სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვის მომავალ საქმიანობაზე საზოგადოებაში.
- სასწავლო პროექტის მეთოდი – ეს არის სწავლების სისტემა, რომლის დროსაც მოსწავლეები იძენენ ცოდნას, პრაქტიკული დავალების (პროექტის) დაგეგმვისა და შესრულების პროცესში.
- ფუნდამენტური დისციპლინების ნაცვლად (ან მათი რიცხვი უნდა შემცირდეს), სკოლაში გათვალისწინებული უნდა იყოს „ინსტრუმენტული“ დისციპლინები.

- აუცილებელია უწყვეტი განათლება ყველა ასაკობრივი კატეგორიის ადამიანისათვის. მთელი საზოგადოება მუდმივი სწავლისა და გადამზადების პროცესში უნდა იმყოფებოდეს.
- აუცილებელია სასწავლო პროცესში მუდმივად გამოიყენებოდეს თამაში.
- პედაგოგის ამოცანაა, პირობების შექმნა ბავშვის შინაგანი შესაძლებლობების განვითარებისთვის და იმ სირთულეების მოხსნა, რომელიც ხელს უშლის განვითარებას.
- წარმატებული სწავლების პირობებია: პრობლემების წამოჭრა, ბავშვის აქტივობა და სწავლის დაკავშირება თამაშთან, შრომასთან, ბავშვის ცხოვრებასთან.

საკონტროლო კითხვები:

1. რას წარმოადგენს ჯ. დიუის ძირითადი პედაგოგიკური იდეები?
2. რას წარმოადგენს წარმატებული სწავლების პირობები?
3. რას ნიშნავს „ინსტრუმენტული“ დისციპლინები?
4. რა ეტაპებს გაივლის პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტა?
5. ეთანხმებით თუ არა ჯ. დიუის იდეას, რომ სკოლაში არ უნდა მიმდინარეობდეს კონკრეტული საგნების სწავლება?
6. რა დანიშნულება აქვს, თამაშის გამოყენებას სასწავლო პროცესში?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Дьюи Дж. (2009 г), От ребенка — к миру от мира — к ребенку, М., Карапуз.
2. Дьюи Дж. (1997 г), Как мы думаем, М., Педагогика.
3. Дьюи Дж. (2000 г), Демократия и образование, М., Педагогика-пресс.
4. Рогачева Е. Ю. (2003 г), Педагогика Джона Дьюи в контексте разных культур, М., Педагогика.
5. John Dewey (2007), The School and Society, by Cosimo, Inc.
6. John Dewey (2007), Democracy and Education, Nu Vision Publications, LLC

მარია მონთესორის
პედაგოგიკური კონცეფცია

ძირითადი საკითხები

- I. მარია მონტესორის პედაგოგიკური სისტემის ზოგადი დახასიათება
- II. მარია მონტესორის პედაგოგიკური სისტემის ძირითადი პრინციპები
- III. მასწავლებლის ადგილი განათლების სისტემაში
- IV. მარია მონტესორის პედაგოგიკური სისტემის მცდარი გაგება
- V. მარია მონტესორის პედაგოგიკური შეხედულებების კრიტიკა
- VI. მარია მონტესორის თანამედროვე სკოლა

მარია მონტესორის პედაგოგიკური სისტემის ზოგადი დახასიათება

მარია მონტესორის პედაგოგიკის ქვეშ იგულისხმება მის მიერ შექმნილი სწავლების სისტემა ბავშვებისათვის. მონტესორიმ 1907 წელს რომში პედაგოგიკურად ხელმიშვებული ბავშვებისთვის დაარსა სკოლა, სადაც მან, თავისი უნიკალური მეთოდის გამოყენებით, რამდენიმე თვეში სასწაული მოახდინა. ბავშვების აკადემიური მიღწევები და მათი ქცევა სამაგალითო გახდა.

მონტესორის მეთოდიკა, პირველ რიგში, გულისხმობს ბავშვის თავისუფალ, დამოუკიდებელ განვითარებას. ბავშვი სწავლობს იმას, რაც მას აინტერესებს. მას არავინ არ აიძულებს სწავლას. **მონტესორის პედაგოგიკის არსს წარმოადგენს შემდეგი – დამეხმარე, რომ თვითონ გავაკეთო.**

ბავშვმა უნდა ისწავლოს შეცდომებზე, მაგრამ მონტესორის უნდოდა, რომ ინფორმაციის საჭიროებისას ბავშვს არ მიემართა უფროსისთვის. ამიტომ მან შეიმუშავა ისეთი დიდაქტიკური მასალა, რომელსაც გააჩნდა შეცდომების კონტროლის შინაგანი სისტემა. მაგალითად, სხვადასხვა ზომის ცილინდრისგან შემდგარი კონსტრუქტორი, რომელიც ასწავლიდა ბავშვს სივრცით მიმართებებს. თუ ბავშვი არ მოათავსებდა ყველა ცილინდრს საჭირო ადგილას, ერთი ცილინდრი ზედმეტი რჩებოდა. როცა ბავშვი ამას ხედავს, მისი ინტერესი იზრდება და ის ცდილობს, გამოასწოროს დაშვებული შეცდომა.

მონტესორის ბალებსა და სკოლებში ჯგუფებად და კლასებად დაყოფა პირობითია და დამოკიდებულია ბავშვის მიერ ათვისებული მასალის დონეზე. ერთ საგანში ბავშვი შეიძლება მეცადინეობდეს უფროს ბავშვებთან, მეორე საგანში – თავის თანატოლებთან ან უმცროსი ასაკის ბავშვებთან. ყოველი ბავშვი მიდის თავისი გზით და თავისი განვითარების ტემპით.

მონტესორის კლასი იყოფა 5 თემატურ სივრცედ:

პრაქტიკული ზონა. ბავშვი სწავლობს საკუთარი თავის მომსახურებას და სხვების დახმარებას (საკვების დამზადება, რეცხვა, ფეხსაცმლის გაწმენდა და ა.შ.). ბავშვებს ასწავლიან ღილების სწორად შეკვრას, ფეხსაცმელში თასმის გაყრას, ბოსტნეულის წმენდასა და დაჭრას.

მონტესორის ჯგუფებში ბავშვებს ესმით: „შენ უკვე დიდი ხარ და შეგიძლია ეს დავალება დამოუკიდებლად შეასრულო“. მასწავლებელი მხოლოდ უჩვენებს ბავშვს, თუ როგორ უნდა მოექცეს საგნებს სწორად. ბავშვები მანიპულირებენ ისეთი საგნებით, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ერთი ჭურჭლიდან მეორეში სითხის გადასხმა, გადაყრა, ტარება და კატეგორიებად (მაგალითად, ფერების ან ფორმის მიხედვით) დახარისხება. ეს ყველაფერი დაკავშირებულია ხელების მოძრაობასთან და საფუძველს უქმნის წერის, კითხვის და მათემატიკური აბსტრაქციის უნარის განვითარებას. ყველა საგანი ნამდვილი უნდა იყოს – მონტესორის ჯგუფებში ხომ ბავშვები რეალური ცხოვრებით ცხოვრობენ. თუ ბავშვს ჩაიდანი დაუვარდება და ხალიჩაზე წყალი დაიღვრება, მისთვის ამკარა იქნება უარყოფითი შედეგიც. ამ შემთხვევაში მუშაობს მონტესორის პედაგოგიკის – შეცდომების ავტომატური (შინაგანი) კონტროლის პრინციპი.

სენსორული ზონა. განმავითარებელი მასალის დახმარებით, ბავშვი სწავლობს საგნების თვისებებს. ვითარდება ყნოსვის, მხედველობის, სმენის, შეხების, ტემპერატურის შეგრძნებები; ბავშვი შეიგრძნობს საგანთა წონასა და ფორმაში განსხვავებას. ეს ყველაფერი კი საფუძველს ქმნის მათემატიკური აზროვნების განვითარებისთვის.

მათემატიკური ზონა. სპეციალური მასალის გამოყენებით, ბავშვი ეუფლება რაოდენობის ცნებას, მის კავშირს სიმბოლოებთან, სწავლობს მათემატიკურ ოპერაციებს. მათემატიკური ზონა მოიცავს ყველა აუცილებელ საგანს, რათა ბავშვმა სწრაფად და ეფექტიანად აითვისოს მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა, თვლა.

ენის ზონა. სპეციალური სათამაშო ასოების ხელით შემოწმებისას ან დაყრილი ფეცილის თხელ ფენაზე თითოთ წერის დროს ბავშვს ეძლევა საშუალება, გაიფართოოს ლექსიკური მარაგი, გაეცნოს ასოებს, ისწავლოს სიტყვების შედგენა მოძრავი ანბანის მეშვეობით. ამ გზით ბავშვი სწავლობს კითხვასა და წერას.

კოსმიური ზონა. ბავშვი ეცნობა გარემოს, ურთიერთკავშირს საგნებსა და მოვლენებს შორის. ბავშვი მისთვის მისაწვდომი ფორმით ეცნობა ადამიანის აგებულებას, გეოგრაფიას, ისტორიას, მცენარეებსა და ცხოველებს. ბავშვის წინაშე გადაიშლება სამყაროს სრული სურათი, ის იწყებს მისი მთლიანობის გაცნობიერებას და საკუთარი თავის, როგორც ამ მრავალფეროვანი სივრცის ნაწილის აღქმას.

მარია მონტესორიმ შეიმუშავა 3-6 წლის, 6-12 წლის ბავშვების სწავლების მეთოდების დეტალური პროგრამა და ჩამოაყალიბა მოზარდებისა და ახალგაზრდების განათლების ძირითადი იდეები.

მონტესორის მიერ შექმნილი დიდაქტიკური მასალები შეესატყვისებოდა ბავშვის ასაკობრივ შესაძლებლობებს. 3-6 წლის ასაკისთვის გათვალისწინებული მასალა მიმართული იყო პრაქტიკული უნარებისა და აღქმის განვითარებისკენ. ბავშვი მასალებით მანიპულაციისას ეცნობოდა ისეთ კატეგორიებს, როგორიც არის: დიდი – პატარა; გლუვი – ხაოიანი, ხმაურიანი – ჩუმი. აფიქსირებდა მათ შორის განსხვავებას, არჩევდა ფორმებს, ფერებს, საგნების მასალას და ამით უფრო რთულ ოპერაციებს – ანალიზსა და სინთეზსაც ეუფლებოდა.

მონტესორის თანახმად, 6-12 წლის ასაკში იცვლება ბავშვის მოთხოვნილებები. თუკი მანამდე ბავშვის ძირითადი მოთხოვნილება იყო პერსონალური უნარების (სიარული, მეტყველება, შეგრძნებები) განვითარება, 6-12 წლის ასაკში ბავშვი უფრო ინტელექტუალური ხდება და მისი ინტერესები მიპყრობილია გარემოზე. მას უნდა გაიგოს ყველაფერი მის გარეთ არსებულ სამყაროზე, ადამიანებზე, რა არის კარგი და რა – ცუდი. ბავშვს აინტერესებს, რატომ ხდება „ისე“ და არა „ისე“, მას სურს მოიპოვოს ძალაუფლება მიმდინარე მოვლენებზე. 6-12 წლის ასაკი სენსიტიური პერიოდია კაცობრიობის კულტურული მონაპოვარის ასათვისებლად. თუ ამ პერიოდში ბავშვს არ მიეცემა საშუალება, შეისწავლოს კულტურული მემკვიდრეობა, მომავალში მას არ ექნება მისი ათვისების ინტერესი, – ამბობს მ. მონტესორი.

12-15 წელი ის ასაკია, როცა ბავშვის ორგანიზმი სწრაფად იზრდება. ამ დროს მიმდინარეობს ფიზიოლოგიური ცვლილებები, ამიტომ მოზარდს დიდხანს ძილი და ხშირი დასვენება სჭირდება. მონტესორი თვლიდა, რომ ამ პერიოდში მოზარდს არ უნდა დავაძალოთ ინტელექტუალური სამუშაო. მისი აზრით, მოზარდი პრაქტიკული სამუშაოთი უნდა ყოფილიყო დაკავებული, ხოლო ინტელექტუალური სამუშაო კი დაუძალეებლად უნდა ეკეთებინა.

15-18 წლის მოზარდები კი უკვე შეიძლება დაიტვირთონ ინტელექტუალური საქმიანობით.

ბავშვს არ აინტერესებს ინფორმაცია, რომელიც მოცემულია სახელმძღვანელოში, მას უნდა შეიცნოს მთელი სამყარო. ამიტომ მონტესორიმ სწავლების პროგრამაში შემოიტანა მოთხრობების სერია, სახელწოდებ-

ბით „კოსმიური გეგმა“, სადაც მოთხრობილი იყო, თუ როგორ შეიქმნა დედამიწა, როგორ აღმოცენდა სიცოცხლე, მოზარდები იგებდნენ პირველი ადამიანებისა თუ ტექნოლოგიების განვითარების შესახებ და ა. შ. ეს მოთხრობები უბიძგებდა ბავშვებს, დაესვათ კითხვები და მოეძიათ მათზე პასუხები. მაგალითად, ბავშვს შეიძლება მოენდომებინა, გაეგო, თუ როგორ მოიპოვებენ საკვებს პირველყოფილი ადამიანები.

მარია მონტესორის პედაგოგიკური სისტემის ძირითადი პრინციპები

ანთროპოლოგიური პრინციპი. მონტესორის პედაგოგიკის ცენტრში დგას ბავშვი, რომლის განათლებაც ეფუძნება ანთროპოლოგიისა (ადამიანის შესახებ ყველა დარგის მეცნიერების ცოდნის გამოყენება) და ფსიქოლოგიის პრინციპებს.

მონტესორისთვის ბავშვის სულიერი განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული მის ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებასთან. ის ხაზს უსვამდა აღქმის, გრძნობის ორგანოების, მოტორული სფეროს განვითარების აუცილებლობას ბავშვის ინტელექტის, ამროვნებითი უნარებისა და ზოგადი განვითარებისთვის.

მონტესორის აზრით, უფროსები პატივისცემით უნდა მოექცნენ ბავშვის თავისუფლებასა და ღირსებას.

ბავშვის პირობითი თავისუფლების პრინციპი. თავისუფალი, დამოუკიდებელი, პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების აღზრდა წარმოადგენს მონტესორის პედაგოგიკის მთავარ მიზანს, სწორედ ამას ემყარება მისი პედაგოგიკის პრინციპი – „მე თვითონ“, რომელიც პედაგოგმა აუცილებლად უნდა შეასრულოს. მონტესორი თვლიდა, რომ პატივი უნდა ვცეთ და მხარი დავუჭიროთ პატარა ბავშვის ლტოლვას დამოუკიდებლობისაკენ. მონტესორის პედაგოგიკაში ბავშვს თვითონ შეუძლია აირჩიოს როგორც აქტივობები, ისე დიდაქტიკური მასალა.

აღზრდის პროცესში უნდა შეიქმნას „პირობითი თავისუფლების“ სიტუაცია. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მონტესორის პედაგოგიკა ბავშვს განუსაზღვრელ თავისუფლებას აძლევს, რომელსაც განსაზღვრავს მისი ახირებები და იმპულსური სურვილები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვი აკეთებს იმას, რაც უნდა. სინამდვილეში ასე არ არის. თავისუფ-

ლებას აქვს თავისი საზღვრები. პირველ რიგში, ეს არის სხვა ბავშვებისა და კოლექტივის ინტერესები (შეიძლება ყველაფერი, რაც არ უშლის ხელს სხვას; ყოველი საგანი უნდა დადოს თავის ადგილზე) და მეორე, ეს არის „საქმის“ კეთება (არ შეიძლება უსაქმურობა; დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ). ასევე, არ შეიძლება მასალის გაფუჭება და თანაკლასელის წყენინება. წესების დარღვევის შემთხვევაში, მასწავლებელს თავად უწევს ჩარევა და ბავშვის იზოლირება გარკვეული დროით.

მონტესორის კლასში თითოეული ბავშვი თავისთვის ჩუმად მუშაობს მის მიერვე არჩეულ დავალებებზე.

მონტესორის სისტემაში თავისუფლება ნიშნავს ბავშვის თავისუფალ გადაადგილებას დიდაქტიკურ გარემოში, აქტივობის და დიდაქტიკური მასალის თავისუფალ არჩევანს, აქტივობებზე დახარჯული დროის თავისუფლად განსაზღვრას, კომუნიკაციისა და სხვა ბავშვებთან ჯგუფში გაერთიანების თავისუფლებას.

თავისუფალი აქტივობის პირობებში ბავშვი სწავლობს საკუთარი შესაძლებლობების შეფასებას; მასალის, ადგილის, პარტნიორის შერჩევაში გადაწყვეტილების მიღებას; აცნობიერებს პასუხისმგებლობას მიღებულ გადაწყვეტილებებზე; განიცდის სიხარულს აქტივობის პროცესში და შედეგის მიღებისას, რომელსაც საფუძვლად უდევს ბავშვის შინაგანი ლტოლვა.

ყურადღების კონცენტრაციის პრინციპი. ბავშვის თავისუფალი და დამოუკიდებელი აქტივობისთვის საჭიროა:

- გარკვეული დროით საქმეზე ყურადღების გამახვილების უნარი.
- დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. ყურადღებით დაკვირვება მასწავლებლის მოქმედებებზე, როცა ის აჩვენებს ბავშვებს, თუ როგორ უნდა იმუშაონ დიდაქტიკურ მასალაზე.
- თუკი ეს საჭიროა, მოუსმინოს მასწავლებლის ახსნას. დამოუკიდებლად საქმიანობდეს და აკონტროლებდეს თავის შეცდომებს. ხელი არ შეუშალოს სხვა ბავშვებს.

მონტესორი თვლიდა, რომ ყურადღების კონცენტრაციას ხელს უწყობს ბავშვის მიერ ხელებით განხორციელებული აქტივობა, რომელსაც, რა თქმა უნდა, მართავს გონება. ბავშვი აქტიურად იკვლევს მის მიერ არჩეულ საგანს, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს ყურადღების და აზ-

როვნების აქტივაციას და ხელს უწყობს მათ ეფექტურ გაერთიანებას. მონტესორი ამას უწოდებდა „ყურადღების პოლარიზაციას“.

საგანზე ყურადღების კონცენტრაცია ხელს უწყობს ბავშვის გონებრივ განვითარებას. ამასთანავე, ვითარდება ინტელექტუალური აქტივობისთვის საჭირო თვისებები, როგორცაა – გამძლეობა, მოთმინება, შრომისმოყვარეობა. თუ ყურადღების კონცენტრაციას საფუძვლად უდევს ბავშვის შინაგანი ლტოლვა, მაშინ ასეთი აქტივობა არ იქნება ბავშვისთვის დამღწეველი, როგორც ეს ხდება უფროსის მიერ ობიექტზე ყურადღების კონცენტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში. რაც უფრო ვითარდება შინაგანი ლტოლვის საფუძველზე განხორციელებული ყურადღების კონცენტრაციის უნარი, მით უფრო ვითარდება დისციპლინა. შინაგანი დისციპლინა კი თავისთავად ხდება ბავშვის „თავისუფლების“ საფუძველი.

სპეციალურად შექმნილი დიდაქტიკური გარემოს პრინციპი. სასწავლო გარემოს შექმნისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ასაკი. ბავშვისთვის ადვილად მისაწვდომ თაროებზე უნდა განლაგდეს დიდაქტიკური მასალა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას. შერჩეულმა დიდაქტიკურმა მასალამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ბავშვის ყურადღების „პოლარიზაციას“ (კონცენტრაციას).

მონტესორის დიდაქტიკური მასალა არის კონკრეტული საგნები, რომელშიც ასახულია კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა (აღამიანის ყოფითი „ელემენტები“) და რომელსაც არ აქვს არაარსებითი დეტალები.

მონტესორის პედაგოგიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვისთვის ახალი, რთული მოქმედებების, უკვე ცნობილი ელემენტებიდან სინთეზის აქტივაციის პროცესს. ამიტომ მონტესორი არ ასწავლის წერას წერით, კითხვას კითხვით, თვლას თვლით, ხატვას ხატვით, არამედ აძლევს ბავშვს შესაძლებლობას, დამოუკიდებლად „გააერთიანოს“ ელემენტებიდან აღნიშნული რთული მოქმედებები. ამასთანავე, კონკრეტულ ბავშვთან ეს მიიღწევა „თავის დროზე“, მისთვის სენსიტიურ პერიოდში.

ბავშვის მომზადება წერისა და კითხვისთვის იწყება უკვე სამი წლის ასაკში, შესატყვისი დიდაქტიკური მასალის გამოყენებით. მასწავლებელ-

ლი ხელს უწყობს ბავშვის ურთიერთობას განმავითარებელ, საგნობრივ გარემოსთან. ის ყურადღებით აკვირდება ბავშვს და არავითარ შემთხვევაში თავს არ ახვევს მას დახმარებას. მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ეხმარება იმდენს, რამდენსაც ითხოვს ბავშვი. თუ ბავშვს დახმარება არ სჭირდება, პედაგოგი არ ერევა ბავშვის საქმიანობაში, აძლევს მას უფლებას, დაუშვას შეცდომები და თვითონვე გამოასწოროს ისინი.

სენსიტიურობის პრინციპი. დიდაქტიკური მასალა, თავისი სტრუქტურით და საგნობრივი ლოგიკით, შესატყვისი უნდა იყოს ბავშვის განვითარების სენსიტიური პერიოდებისთვის. 6 წლამდე ასაკის ბავშვის განვითარებაში მონტესორიმ გამოყო მეტყველების, სენსორიკის, აკურატულობის (წესრიგის), წვრილი საგნების ათვისების, აქტივობის და სოციალური ჩვევების განვითარების სენსიტიური პერიოდები.

წესრიგისა და შეზღუდვის პრინციპი. წესრიგის დარღვევა და მისი აღდგენა არის ბავშვის აქტივობის ერთ-ერთი ძლიერი მოტივი. ბავშვს მოსწონს, როცა ხედავს საგნებს ერთსა და იმავე ადგილას. ის ცდილობს, აღადგინოს წესრიგი, თუკი ის დაარღვია. ეს არის 2-3 წლის ასაკის ბავშვის სენსიტიური პერიოდი. მშობლების მოთხოვნა, რომ ბავშვმა აღადგინოს წესრიგი, მათთვის მიღებული ფორმით, მონტესორისთვის დაუშვებელია.

სოციალური აღზრდისა და ინტეგრაციის პრინციპი. სასწავლო გარემოში არის მხოლოდ ერთი კონკრეტული დიდაქტიკური მასალა. ეს ხელს უწყობს ბავშვს, ისწავლოს მოლაპარაკება, ხელი არ შეუშალოს და დაეხმაროს სხვას. ბავშვი სწავლობს თვითდისციპლინას და ჯგუფის წესებისადმი დაქვემდებარებას.

მონტესორი თვლიდა, რომ ასაკის მიხედვით ბავშვების გაერთიანება ჯგუფებში არ არის ბუნებრივი და პროდუქტიული. საბავშვო ბალებსა და სკოლებში იქმნებოდა ჯგუფები 3 წლის ასაკის დიაპაზონში (მაგალითად, 3,4 და 5 წლის ბავშვები). შერეული ასაკობრივი ჯგუფები ხელს უწყობს როლური დისტანციის განვითარებას, რაც დადებითად მოქმედებს ბავშვის მორალურ განვითარებაზე. ბავშვებს შორის ყალიბდება ურთიერთობის ბუნებრივი სისტემა – პატარამ შეიძლება დახმარება სთხოვოს უფროსს. შესაბამისად, პრობლემურ სიტუაციაში ყოველთვის არ არის საჭირო პედაგოგის დახმარება. უმცროსები ბაძვენ უფროსი ასაკის ბავშვების ქცევას, ხოლო უფროსები, ეხმარებიან რა უმცროსებს, უკეთ სწავებიან საქმის არსს, სწავლობენ დახმარებასა და ზრუნვას სხვებზე.

აქტუალური და უახლოესი განვითარების პრინციპი. მონტესორის სკოლის დიდაქტიკური მასალა ისეა შედგენილი, რომ მან გადაწყვიტოს ორი ამოცანა – პირდაპირი და ირიბი. პირველი ხელს უწყობს ბავშვის აქტუალური ძალების განვითარებას (მაგალითად, ბავშვი სწავლობს ღილების შეკვრას), მეორე კი მიმართულია მომავალზე (დამოუკიდებლობის განვითარება, მოძრაობის კოორდინაცია, სმენის დახვეწა და ა.შ.).

მასწავლებლის ადგილი განათლების სისტემაში

მონტესორის პედაგოგიკაში სწავლების პროცესის ცენტრია ბავშვი და არა – მასწავლებელი. ბავშვი არ არის მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის პასიური მსმენელი, არამედ სწავლობს დამოუკიდებლად, აქტივობის შედეგად, ინდივიდუალური ინტერესებისა და მოთხოვნილებების საფუძველზე.

დახმარება, რომელიც მასწავლებელმა უნდა გაუწიოს ბავშვს, არის შემდეგი – მასწავლებელმა უნდა აჩვენოს, როგორ მუშაობს დიდაქტიკური მასალა, როგორაა შესაძლებელი მისი გამოყენება. მასწავლებელი აჩვენებს ბავშვს მასალასთან მუშაობის რაციონალურ ხერხს, აჩვენებს აქტივობის მოდელს, რომელიც მიმართულია მასალის თვისებებისა და მახასიათებლების ჩვენებაზე.

მოთხოვნები მონტესორის მეთოდით მომუშავე მასწავლებლის მიმართ:

- მასწავლებელს უნდა ჰქონდეს იმის რწმენა, რომ ყველა ბავშვი უნიკალურია.
- მასწავლებელს უნდა შეეძლოს ბავშვის უპირობოდ მიღება.
- მასწავლებელს გათავისებული უნდა ჰქონდეს მონტესორის პედაგოგიკის პრინციპები და ტექნიკა.
- მეტყველებისა და სხეულის ენის თანხვედრა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასწავლებელი ამბობს იმას, რასაც გრძნობს და ამას გამოხატავს ადეკვატური ჟესტიკულაციით.
- პროფესიული ზრდის სურვილი.

მასწავლებლის როლი ბავშვის წარმოდგენაში

შეკითხვაზე – ვინ გასწავლა კითხვა? ტრადიციული სკოლის მოსწავლე პასუხობს – მასწავლებელმა. ხოლო მონტესორის სკოლის ბავშვი კი ამბობს – არავინ, მე თვითონ ვისწავლე.

შეკითხვაზე – შეგიძლია გავაკეთო ყველაფერი, რაც გინდა? ტრადიციული სკოლის მოსწავლე პასუხობს – არა. ხოლო მონტესორის სკოლის ბავშვი ამბობს – შემიძლია გავაკეთო ყველაფერი.

შეკითხვაზე – რა მოხდება, თუ ვინმეს ხელს შეუშლი მეცადინეობაში? ტრადიციული სკოლის მოსწავლე ამბობს – მასწავლებელი დამსჯის. ხოლო მონტესორის სკოლის მოსწავლე კი ამბობს – მასწავლებელი მეტყვის, თუ შეიძლება გადი, ხელს გვიშლი.

მონტესორის პედაგოგიკური სისტემის მცდარი გაგება

მონტესორის პედაგოგიკური სისტემა გამოდგება მხოლოდ განსაკუთრებული განვითარების მქონე ბავშვებისთვის. ეს მოსაზრება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ თავდაპირველად მონტესორი მუშაობდა შეფერხებული განვითარების მქონე ბავშვებთან. ასეთ ბავშვებთან მუშაობისას მონტესორი იყენებდა მის მიერვე შექმნილ სენსორულ მასალას (ზოგი მასალა ფსიქიატრ ე. სეგენის მიერ იყო შექმნილი, რომელიც მონტესორიმ შემოქმედებითად გადაამუშავა). შედეგად, შეიქმნა სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევდა ბავშვებს განვითარებულიყვნენ მათთვის დამახასიათებელი ტემპით. განსაკუთრებული მეთოდური მიდგომა კი ასეთ ბავშვებსაც აძლევდა საშუალებას, თავი ეგრძნოთ წარმატებულად და ჰქონოდათ საკუთარი ძალების რწმენა. საბოლოოდ, ყოველივე ამან მიიყვანა მონტესორი იმ აზრამდე, რომ მის მიერ შექმნილი სისტემა უნივერსალურია, ე. ი. ის ეფექტურია მიუხედავად იმისა, ნელა მიმდინარეობს ბავშვის განვითარება თუ სწრაფად, ნიჭიერია ბავშვი თუ საშუალო მონაცემების მქონე.

ეს „ჩუმი“ მეთოდიკაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონტესორის პედაგოგი აჩვენებს ბავშვებს, თუ როგორაა საჭირო მუშაობა ამა თუ იმ მეთოდურ მასალასთან. ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება გვეუბნება, რომ კომენტარები ამ შემთხვევაში ხელს უშლის ბავშვს ყურადღე-

ბის კონცენტრაციაში, აღნიშნავს მონტესორი. მაგალითად, თუ ბავშვმა დააბნია ქვიშა, მასწავლებელი იღებს ცოცხს და გვის იატაკს. შეიძლება უთხრას – ნახე, როგორ ვაკეთებ! შემდეგ, მსგავს სიტუაციაში, ბავშვი თვითონ მოგვის იატაკს.

რაც შეეხება მეტყველების განვითარებას, მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში გათვალისწინებულია სპეციალური სავარჯიშოები მეტყველების განვითარებისთვის. ხოლო უფროსი ბავშვები კი იღებენ გამოცდილებას საჯარო გამოსვლებით, სადაც ისინი აკეთებენ მოხსენებას მათთვის საინტერესო თემაზე, სხვა ბავშვების წინაშე.

უნდა აღინიშნოს, რომ მონტესორის სკოლაში ბავშვები ადრე იწყებენ კითხვას. რაც მთავარია, მათ ესმით, რატომ არის საჭირო კითხვა და ინარჩუნებენ კითხვის მიმართ სიყვარულს მთელი ცხოვრების განმავლობაში.

მონტესორის ბაღში ნასწავლ ბავშვებს იმდენად დიდი ცოდნა აქვთ მიღებული, რომ მათთვის ჩვეულებრივ სკოლაში სიარული მოსაწყენია. მონტესორის პედაგოგიკური სისტემით ნასწავლი ბავშვები ნამდვილი ერუდიტები არიან, მათი ინტერესები მრავალფეროვანია. მათ იციან ოთხნიშნა რიცხვების მიმატება, იციან გამრავლების ტაბულა, გამართულად საუბრობენ და კითხულობენ და ა. შ.

ასეთ შემთხვევაში მშობლებს შეიძლება მიეცეთ ასეთი რჩევა – შეარჩიონ არა სკოლა, არამედ მასწავლებელი. სწორედ კარგ მასწავლებელს შეუძლია გაიხადოს ასეთი ბავშვი თავის დამხმარედ, ვინაიდან მონტესორის მეთოდით ნასწავლ ბავშვებს შეუძლიათ არა მხოლოდ თავისი, არამედ სხვა ბავშვების საქმიანობის ორგანიზებაც და დახმარების მიღებაც. მათ აქვთ სხვების დახმარების გამოცდილება, არიან მომთმენნი და კეთილგანწყობილნი. მათ იციან, რომ შეცდომას აქვს პოზიტიური მხარე, ამიტომ ლოიალურები არიან სხვა ბავშვების შეცდომების მიმართ. მონტესორის მეთოდით ნასწავლი ბავშვები არ ტრაბახობენ საკუთარი წარმატებებით, ამიტომ იმსახურებენ უფროსებისა და თანატოლების პატივისცემას. მათ ბევრი იციან და უნდათ, სხვებს გაუზიარონ თავისი ცოდნა.

მონტესორის სკოლაში ბავშვები იღლებიან. მონტესორის საკლასო ოთახი განსხვავდება ტრადიციული საკლასო ოთახისგან. იქ არ არის დაფა და მერხები. საკლასო ოთახში არის მსუბუქი მაგიდები, რომლებიც ორმა ბავშვმა შეიძლება თავისუფლად გადაიტანოს სამუშაოსთვის

საჭირო ადგილას. კედლებთან განლაგებულია თაროები, სადაც მოთავსებულია დიდაქტიკური მასალა. საკლასო ოთახს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დიდი, თავისუფალი სივრცე, სადაც ბავშვები შეიძლება მოთავსდნენ პირდაპირ იატაკზე დაგებულ პატარა ნოხებზე. თავისუფლად გადაადგილდება რა საკლასო ოთახში, ბავშვი თვითონ ირჩევს მისთვის საინტერესო მასალასა და ადგილს სამუშაოდ. ბავშვი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, იმუშაოს რამდენიმე წუთი თუ მთელი გაკვეთილი; იმუშაოს მარტომ თუ მასწავლებელთან ან სხვა ბავშვთან ერთად. ხანმოკლე ინდივიდუალური გაკვეთილები, რომელსაც მასწავლებელი ატარებს, გრძელდება მანამ, სანამ ბავშვი იჩენს ინტერესს.

თუ ბავშვს უნდა მარტო ყოფნა, ის შეიძლება გადავიდეს საერთო ოთახში შირმით გამოყოფილ ადგილას, სადაც მოთავსებულია სავარძელი, ბალიშებით და წიგნებით. შეიძლება დააკვირდეს სხვა ბავშვების საქმიანობას და შემდეგ ისევ თავის საქმიანობას დაუბრუნდეს.

ბავშვი თვითონ ირჩევს სამუშაო რეჟიმს.

თუ ბავშვი მონტესორის სკოლაში აკეთებს იმას, რაც უნდა, მაშინ ის ვერ შეძლებს დაემორჩილოს სკოლის წესებს. მონტესორის პედაგოგიკაში თავისუფლების ქვეშ იგულისხმება არა ყველაფრის კეთების უფლება, არამედ არჩევანის თავისუფლება. ბავშვები ირჩევენ დიდაქტიკურ მასალას, სამუშაო ადგილს და მეცადინეობენ იმდენ ხანს, რამდენიც უნდათ. მონტესორის ბავშვები ცხოვრობენ წესების დაცვით. ისინი გვერდს უვლიან სხვა ბავშვებს, რომლებიც მუშაობენ ნოხზე, რათა ხელი არ შეუშალონ მათ საქმიანობას. ამიტომ ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მათ ნამუშევარსაც არავინ გააფუჭებს. კლასში მუშაობისას ბავშვებმა ჩუმად უნდა ისაუბრონ, რათა ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი წესები უპირობოდ უნდა იყოს დაცული.

მონტესორის პედაგოგიკის ძირითადი იდეები:

- ყოველი ბავშვი იბადება თავისი შინაგანი პოტენციალით, განვითარების საკუთარი ტემპით.
- განვითარება შესაძლებელია მხოლოდ აქტივობით. ბავშვი ავლენს როგორც გარეგან აქტივობას (მოტორული აქტივობები), ასევე შინაგანს (დაკვირვება, ანალიზი).
- ბავშვის შინაგანი განვითარება დაკავშირებულია გარემოსთან, რომელიც იძლევა სტიმულს განვითარებისთვის.

- არასდროს ცუდი არაფერი თქვა ბავშვის შესახებ (არც მისი თანდასწრებით და არც მის გარეშე).
- არასდროს შეეხო ბავშვს, სანამ ის თვითონ არ მოგმართავს დახმარებისთვის.
- ყურადღება უნდა გამახვილდეს ბავშვის დადებითი თვისებების განვითარებაზე.
- პატივი ეცი ბავშვს, რომელმაც შეცდომა დაუშვა.
- უნდა შევაჩეროთ ბავშვის მიერ დიდაქტიკური მასალის ნებისმიერი არაკორექტული გამოყენება და ნებისმიერი ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის თვითონ მას ან სხვა ბავშვს.
- პატივი უნდა ვცეთ ბავშვს, რომელიც ისვენებს (შეიძლება ის ამ დროს ფიქრობს) ან აკვირდება სხვა ბავშვის საქმიანობას.
- არ აიძულოთ ბავშვი, შეასრულოს ის აქტივობა, რომელიც მას არ უნდა.
- დავეხმაროთ ბავშვს, რომელიც ეძებს სამუშაოს და ვერ აკეთებს არჩევანს.

მარია მონტესორის კვდაგოგოპური შხხედულებების კრიტიკა

მონტესორი კრიტიკულად უდგებოდა ზღაპრების და სხვა ფანტასტიკური ისტორიების კითხვას ბავშვებისთვის. ის მიიჩნევდა, რომ ფანტაზიას დაკარგული აქვს კავშირი რეალობასთან. მონტესორის პოზიცია ზღაპრებთან დაკავშირებით თითქოს ეწინააღმდეგება მის იდეას, რომ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ბუნებრივი მიდრეკილებები. ის აღიარებდა, რომ ბავშვს აქვს მიდრეკილება ფანტაზიისკენ, მაგრამ ჩვენი ამოცანაა, ამ ტენდენციის დაძლევა. მონტესორი თვლიდა, რომ როცა ჩვენ ვუკითხავთ ბავშვებს ჯადოსნურ ზღაპრებს, ისინი პასიურები არიან და უბრალოდ იღებენ შთაბეჭდილებას. მათ სჯერათ ფანტასტიკური მოვლენების იმიტომ, რომ ჯერ არ აქვთ უნარი, გაარჩიონ, სადაა სიმართლე და სად ტყუილი. ეს კი სწორედ ის არის, რაც ბავშვებმა უნდა იცოდნენ, მიიჩნევენ მონტესორი.

მონტესორი აღიარებდა შემოქმედი ადამიანების ფანტაზიის მნიშვნელობას, მაგრამ მიიჩნევდა, რომ მათი ფანტაზია ყოველთვის დაკავ-

შირეებულა რეალობასთან. შემოქმედი ადამიანი ჩვენზე უკეთ ხედავს ფერებს, ფორმებს, კონტრასტს, ჰარმონიას და ა. შ. თუ ჩვენ გვინდა, რომ ბავშვი გაიზარდოს შემოქმედებითი პიროვნება, ჩვენ უნდა განვავითაროთ მასში ეს უნარები, აღნიშნავდა მონტესორი.

მონტესორი აღიარებდა, რომ ბავშვებს უყვართ ხატვა, მაგრამ არ აქვებოდა მათ თავისუფალი ხატვისკენ. ამის ნაცვლად, ის ცდილობდა, დახმარებოდა ბავშვს, გაერჩია ფორმები, ფერები, ისეთი სავარჯიშოების დახმარებით, როგორცაა — ფერადი ქაღალდების დაჭრა, სხვადასხვა ფორმის ფიგურების გაფერადება. სინამდვილეში მონტესორი არ უკრძალავდა ბავშვებს თავისუფალ ხატვას, მაგრამ მისი მიზანი იყო, განევითარებინა ბავშვის დაკვირვებისა და განსხვავების აღმოჩენის უნარი.

ჰ. დიუი თვლიდა, რომ მონტესორი ხანდახან ზღუდავდა ბავშვის თავისუფლებას და შემოქმედებითობას. როცა ბავშვი აღმოაჩენდა, რომ კონსტრუქტორი მისთვის ძალიან რთულია, ის იწყებდა თამაშს არა ისე, როგორც „საჭირო იყო“. ამ შემთხვევაში მასწავლებელი სთავაზობდა მას სხვა დავალებას. ბავშვს არ აძლევდნენ უფლებას, თვითონ მოეგონებინა თავისთვის საქმიანობა.

მონტესორი ამაზე უპასუხებდა, რომ ეს ბავშვები გრძნობენ მათი უნარების შეუსატყვისობას დავალებასთან და ისინი უფრო შემოქმედებითად მიუდგებიან იმ დავალებას, რომლისთვისაც მზად არიან.

მონტესორი არ მიესალმებოდა ბავშვების თავისუფალ თამაშსა და ხატვას. ასევე, დაწყებით სკოლაში შესვლამდე ბავშვები ნაკლებად შედიოდნენ ერთმანეთთან კონტაქტში, ისინი მთლიანად იყვნენ დაკავებულინი საკუთარი საქმიანობით.

ბეტელჰაიმის აზრით, მონტესორი ცდებოდა ჯადოსნურ ზღაპრებთან დაკავშირებითაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის თვლიდა, რომ ზღაპრები აცილებენ ბავშვს რეალობას. ბეტელჰაიმის აზრით, ბავშვებმა იციან, რომ ზღაპრები მოგონილია. ეს თვითონ ზღაპრებშიც არის მითითებული — იყო და არა იყო რა... ბავშვები ინტუიციურად ხვდებიან, რომ ზღაპარი ეხება არა რეალურ მოვლენებს, არამედ ადამიანის შინაგან სამყაროს, მათ სურვილებსა და შიშებს. მაგალითად, ზღაპარი ნაცარქექია ასწავლის ბავშვებს საკუთარი ძალების რწმენას, მოხერხებულობას. უფრო მეტიც, თვითონ ზღაპრის მოსმენის პროცესი უფრო აქტიურია, ვიდრე მონტესორის ეგონა. ბავშვი, ზღაპრის მოსმენისას, ცდილობს მოსმენილის ინტერპრეტაციას, ავსებს წარმოდგენებით და სცენებით.

თუ ზღაპარში იმაზე საუბარი, რაც ბავშვისთვის მნიშვნელოვანია, მას უნდა მისი კიდევ და კიდევ მოსმენა ისევე, როგორც მონტესორის ბავშვები იმეორებენ მათთვის საინტერესო საგარჯიშოს.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მონტესორის სწავლების მეთოდი შეიძლება არ მოერგოს ყველა ბავშვს, მაგალითად, ჰიპერაქტიურსა და აუტისტ ბავშვებს.

ამრიგად, მონტესორიმ საკმარისად არ შეაფასა ბავშვობის ისეთი შემადგენელი მომენტები, როგორიცაა – თამაში, ხატვა და ზღაპარი, მაგრამ მისი წვლილი პედაგოგიკაში გაცილებით მეტია, ვიდრე ის, რაც მან შედარებით უყურადღებოდ დატოვა.

მონტესორის სისტემის ნაკლოვანებანი:

- მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ინტელექტისა და პრაქტიკული ჩვევების განვითარებაზე.
- მონტესორის სისტემაში არ გამოიყენება როლური და მოტორული თამაშები.
- შეიძლება ითქვას, რომ მონტესორი უარს ამბობს შემოქმედებაზე.

მარია მონტესორის თანამედროვე სკოლა

თანამედროვე ეპოქაში მონტესორის მეთოდით ათობით ათასი ბავშვი სწავლობს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიდერლანდებსა და ფინეთში ეს არის არა მხოლოდ კერძო, არამედ სახელმწიფო ბაღები და სკოლები.

თანამედროვე განათლების სისტემაში მონტესორის მეთოდი, პირვანდელი სახით, თითქმის აღარ გამოიყენება. პედაგოგები და ფსიქოლოგები ცდილობენ, გააუმჯობესონ მონტესორის მეთოდი, იქმნება ახალი ზონები თამაშისა და პრაქტიკული საქმიანობისთვის.

მონტესორის თანამედროვე სკოლაში გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- თავისუფალი მუშაობა მონტესორის დიდაქტიკური მასალით (უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდაქტიკური მასალა მზადდება ნატურალური მასალისგან, ხოლო მათი დიზაინი არ შეცვლილა უკვე 100 წელია).

ბავშვები თვითონ ირჩევენ დიდაქტიკურ მასალას და განსაზღვრავენ: მუშაობის ტემპსა და ხანგრძლიობას; ადგილს (მაგიდასთან ან ნოხზე); იმუშავენ და მოუკიდებლად, თუ სხვა ბავშვებთან ერთად.

- ბავშვები სწავლობენ საქმიანობის დაგეგმვას. უმცროსები იწერენ, თუ რა გააკეთეს დღის განმავლობაში და ვარაუდობენ, თუ რის გაკეთება სურთ ხვალ. უფროსები გეგმავენ მთელი კვირის (შეიძლება თვის) საქმიანობას.
- რეფლექსიის წრე – განიხილავენ სხვადასხვა თემასა თუ საკითხს, ბავშვები სვამენ კითხვებს და იღებენ პასუხებს.
- დიდაქტიკური წრე – მეცადინეობა, რომელსაც ატარებს პედაგოგი. მეცადინეობა ტარდება ან ინდივიდუალურად (ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით), ან, საჭიროების შემთხვევაში, მთელ კლასთან.
- პროექტები – სიღრმისეულად შეისწავლიან სხვადასხვა თემას, გამოიყენებენ სხვადასხვა წყაროს. პროექტის შესასრულებლად ბავშვებს ეძლევათ ერთი კვირა, მუშაობის პროცესი კი დასრულდება პრეზენტაციით, სპექტაკლით.
- კვლევა – ბავშვის პირადი პროექტი, მისი პირადი მეცნიერული კვლევა, რომელიც ასევე დასრულდება პრეზენტაციით.
- კომუნიკაციური თამაშები – მონაწილეობს მთელი ჯგუფი. თამაშის მიზანია, ემოციური ინტელექტის განვითარება (ემოციათა ზუსტი, შესატყვისი აღქმა და გაგება).
- შემოქმედებითი სახელოსნოები – ბავშვები თავისი სურვილით ირჩევენ: ხატვას, ძერწვას, აპლიკაციას და ა. შ.
- კულინარიული და სადურგლო სახელოსნოები.
- სპორტი – ბავშვები თავისი სურვილით ირჩევენ და მეცადინეობენ სხვადასხვა სპორტულ სექციაში.
- მოძრავი, მობილური თამაშები საკლასო ოთახსა და ეზოში.
- თამაში სხვადასხვა სახით, კონსტრუქტორით; მაგიდის თამაშები (მაგალითად, ჭადრაკი).
- ექსკურსიები – მუზეუმებში, ქარხნებში, ფაბრიკებში და ა. შ.
- სხვა სკოლებთან ერთად, სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობა.
- საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა; სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა.

1988 წელს იუნესკოს (United Nations Educational, Scientific and Cultural Organization) გადაწყვეტილებით, ჯ. დიუი, გ. კერშენშტეინი, მ. მონტესორი და ა. მაკარენკო აღიარებულ იქნენ მეოცე საუკუნის უდიდეს პედაგოგებად.

საკონტროლო კითხვები:

1. რამდენ თემატურ სივრცედ იყოფა მონტესორის კლასი? რა მიზანს ემსახურება თითოეული მათგანი?
2. რა ძირითადი მახასიათებელი აქვს მონტესორის მიერ შექმნილ დიდაქტიკურ მასალას?
3. ჩამოთვალეთ მონტესორის პედაგოგიკური სისტემის ძირითადი პრინციპები.
4. რა ადგილი უკავია მასწავლებელს მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში?
5. როგორ ფიქრობთ, მონტესორის მეთოდი ყველა ბავშვის სწავლებისთვის გამოდგება?
6. რატომ აკრიტიკებენ მონტესორის?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Монтессори М. (2006 г), Мой метод ,М АСТ.
2. Фаусек Ю .(2007 г), Педагогика Марии Монтессори, М., Генезис.
3. Крейн У. (2002 г), Теории развития, секреты формирования личности, ЕВРОЗНАК.
4. Montessori M. (2002), The Montessori method (5 th ed.), Mineola, New York: Dover Publications, Inc.

www.tpdg.ge